1 მარტი 2023

Re: საქართველოს კანონი "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ"

ბატონო სპიკერო,

მოგმართავთ საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის, ევროპის ბიზნეს ასოციაციის, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოსა და გერმანიის ბიზნეს ასოციაციის სახით წარმოდგენილი ქართული და საერთაშორისო ბიზნესები და ინვესტორები „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით, რომელიც ამჟამად განხილვის პროცესშია.

მოგეხსენებათ, ეს კანონი მოითხოვს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც იღებენ დაფინანსებას „უცხო ძალებისგან,“ დარეგისტრირდნენ „უცხოური გავლენის აგენტებად“. გვაშფოთებს ის, რომ ეს კანონი უარყოფით აღქმას ჩამოაყალიბებს უცხოური მხარდაჭერის პროგრამებზე, შეაფერხებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას და დააზიანებს საინვესტიციო გარემოს.

პირველ რიგში, ორგანიზაციებისთვის „უცხოური გავლენის აგენტის“ სახელის მინიჭება მათ ისე წარმოაჩენს, თითქოს ისინი ზიანს აყენებენ ქართველ ხალხს. თუმცა, საქართველოს ისეთი პარტნიორების მიერ დაფინანსებული პროექტები, როგორიცაა ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და მრავალი სხვა, ემსახურებიან ქვეყნის განვითარების მხარდამჭერ უამრავ საკეთილდღეო საქმეს ეკონომიკაში, განათლებაში, საჯარო პოლიტიკაში და სხვა სფეროებში. ამ პროექტებზე უარის თქმა დიდად დააზარალებს ქვეყანას.

მეორე - აშკარად ჩანს, რომ ეს კანონი ეწინააღმდეგება ევროკავშირის პრინციპებს და, შესაბამისად, ზიანს აყენებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას. მივესალმებით პარლამენტის განცხადებას, რომ ის არ მიიღებს ამ კანონს ვენეციის კომისიის შეფასების მიღებამდე, მაგრამ ვშიშობთ, რომ კანონპროექტი ამ დროისათვის განხილვის ისეთ ეტაპზე იქნება, რომ უკვე შეუძლებელი გახდება მასში ძირეული ცვლილებების შეტანა. ამიტომ მოგიწოდებთ, შეაჩეროთ კანონპროექტზე მუშაობის პროცესი ვენეციის კომისიისგან დასკვნის მიღებამდე.

მესამე - გვაშფოთებს ის, რომ ყველანაირი უცხოური ჩართულობისთვის დამაზიანებელი იარლიყის მიკერებით, კანონმა შეიძლება ხელი შეუშალოს უცხოურ ინვესტიციებს. დარწმუნებულნი ვართ, კარგად აცნობიერებთ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უცხოურ ინვესტიციებსა და ცოდნას, რომელიც მათ მოჰყვება საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის. კანონები, რომლებიც ავიწროებენ უცხოელებს, დააბრკოლებენ ინვესტიციებს მაშინ, როდესაც ისინი ყველაზე მეტად გვჭირდება.

ჩვენ მოვისმინეთ ორი ძირითადი განმარტება ამ კანონის აუცილებლობის თაობაზე. პირველი ეხება პოტენციურად მავნე, განსაკუთრებით კი - დეზინფორმაციის გამავრცელებელი უცხოური სუბიექტების მონიტორინგს. თუ მართლაც ეს არის მიზანი, ვფიქრობთ, კანონი მკაფიოდ უნდა იყოს მიმართული ისეთი უცხოური სუბიექტებისადმი, რომლებიც მიზანმიმართულ ზიანს აყენებენ საქართველოს.

მაგალითად, ეს კანონპროექტი რომ მხოლოდ იმ პოლიტიკური ძალების მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ეხებოდეს, რომლებიც არ ცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს სრულიად გონივრული იქნებოდა.

მეორე განმარტებით კანონი საჭიროა უცხოელი ლობისტების გასაკონტროლებლად, როგორც ეს ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ შემთხვევაში, საქართველოს კანონი უნდა გავრცელდეს მხოლოდ იმ სუბიექტებზე, რომლებიც მუშაობენ უცხო ძალის წარმომადგენლებად. ამერიკული კანონი ვრცელდება ექსკლუზიურად მხოლოდ ლობისტებზე, საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპანიებსა და იურიდიულ ფირმებზე, რომლებსაც უცხოური ძალები ქირაობენ თავიანთ აგენტებად. ის არ ვრცელდება სხვა არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაციებზე, რომლებიც იღებენ დაფინანსებას თავიანთი ჩვეულებრივი საქმიანობის მხარდასაჭერად. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში გარედან დაფინანსებულ ორგანიზაციას, რომელიც ეხმარება ბავშვებს ან მუშაობს ადამიანის უფლებებზე, არ მოეთხოვება მსგავსი რეგისტრაცია.

მოგეხსენებათ, როგორც ბიზნეს ორგანიზაციები, ძალიან იშვიათად ვაკეთებთ კომენტარს საჯარო პოლიტიკის საკითხებზე. ჩვენ ყველანი წარმოვადგენთ მკვეთრად აპოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ მთავრობასთან და პარლამენტთან მთელ რიგ საკითხებზე. ამჯერად საჯაროდ ვსაუბრობთ მხოლოდ იმის გამო, რომ ძალიან გვაშფოთებს ამ ახალი კანონპროექტის პოტენციური ნეგატიური გავლენა, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკასა და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

ჩვენ სიამოვნებით შევუერთდებით თქვენ მიერ შექმნილ ნებისმიერ სამუშაო ჯგუფს, რომელიც იმსჯელებს ამ საკითხების გარშემო.

პატივისცემით,

ირაკლი ბაიდაშვილი
პრეზიდენტი
საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატა

ზვიად ჭუმბურიძე
გენერალური მდივანი
ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო

ჯონ ბრაეკეველდტი
გამგეობის თავმჯდომარე
ევროპული ბიზნესასოციაცია

საშა ტერნესი
გამგეობის თავმჯდომარე
გერმანული ბიზნესასოციაცია

CC: ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი